

# ლელო

№ 74  
(11 531)

21 - 24 სექტემბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფაქტი - კონტროლზე!

### „ლელო“ რედაქციას!

მიმდინარე წლის 16-17 მაისს ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა სპორტული თამაშების პროგრამით შეგიბრება სპორტულ ტანვარჯიშში, რომელსაც ხელმძღვანელობდა განათლების სამინისტრო და საქართველოს სპორტის დეპარტამენტი.

შეგიბრების დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, შევადგინეთ მსაჯების მუშაობის უწყისი ხელის მოწერებით.

დაგვიპირდნენ, რომ უახლოეს პერიოდში მსაჯებს გადაუხდინდნენ ჩატარებული მუშაობის საფასურს, რაც დღემდე არ აღუზაღაურებიათ.

გახოვოთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით გვიპასუხოთ ავგინაზღაურებენ თუ არა ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები ჩვენი შრომის საფასურს? წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ სასამართლოს.

მსაჯების სახელით **ბ. ცინცაძე**

**რედაქციისათვის:** „ლელო“, რა თქმა უნდა, დაინტერესდა ამ საკითხით და ობიექტურად შეეცადა გაერკვია ვითარება. აი რა გაირკვა: თამაშების ხარჯები უნდა გაეღო თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველოს, რომელიც თავის დროზე თანხა პარტლაც გადაურიცხა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, მაგრამ დღემდე მთავარ მსაჯთა კოლეგიას ანგარიში და, საერთოდ, არანაირი საბუთი, მათ შორის შემოსენებული უწყისი, არ წარუდგენია სპორტის დეპარტამენტში და, ბუნებრივია, თანხაც არ გაიცემოდა. ის, რომ მსაჯებს უწყისებზე ხელი მოაწერინეს და თანხა არ მიეცეს, საფინანსო მოთხოვნების უხეში დარღვევაა. უწყისზე ხელი უნდა მოეწეროს მაშინ, როცა ფული გაიცემა და მიმღებმა უნდა იცოდეს, რა თანხას მოაწერა ხელი. შემოსენებული ფაქტი კი, არ არის გამორიცხული, უწყისის გაყალბებისთვის ხელ შეწყობა ფაქტორად იქცეს.

მსაჯები შეგვიძლია დავარწმუნოთ, რომ კუთვნილ თანხას ისინი აუცილებლად მიიღებენ.

რედაქციაში შემოსული წერილი კონტროლზე!

## სახობგურთო ტურნირები

ჩვენს სახობგურთო სამყარო და, საერთოდ სპორტის გულშემატკივრები საქართველოში, დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისში, ლილა მესხის სახობგურთო აკადემიის კორტებზე ჩოგბურთულ ქალთა მესამე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ამავე დროს „ქართუ ბანკისა“ და თბილისის ღია პირთოლობაა. ყველას ყურადღება, ასეთ დროს, ცხადია, თანამემამულე სპორტსმენებისკენა მიპყრობილი. სამწუხაროდ, ჩვენმა ჩოგბურთოელებმა უძლიერესთა ამ ტურნირში ვერ გაიკვილეს გზა ფინალისკენ. უკანასკნელი იმედი, საქართველოდან ტურნირში მონაწილე თორმეტი ქართველიდან ყველაზე შორს ნინო ესებუა წავიდა — მერვედღინაში დამარცხდა. დანარჩენებმა კი ამ ეტაპის მისაღლომებთან დაყარეს ფარ-ხმალი. შეგახსენებთ, რომ შარშან, მაკა ჩახნაშვილმა, ერთადერთმა, ამ ტურნირში, მეოთხედღინალამდე მიადწია.

## ნაბიჯი უკან...

### ლაბაძე წინ მიიწავს

შანხაიში მიმდინარე ვაჟთა სახობგურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 400 000 დოლარია, ქართველმა ჩოგბურთოელმა ირაკლი ლაბაძემ მას შემდეგ, რაც პირველ წრეში სენსაციურად დაამარცხა ანდრე აგასი, მეორე წრეშიც ასევე სძლია ამერიკელ ჯასტინ გილესტობს 6:7 (2:7), 7:6 (7:3), 6:2 და მეოთხედღინაში გავიდა.

# პერავინ ნარეოდგენდა ღავით ყიფიანის ასეთ ბრავიკულ აღსასრულს. უხვ ყველაფერი გაჩერდა და დაღუპდა...

ამ დღებში, თბილისში, მთელი მსოფლიოდან მოდის სამქიმრის ფაქსები და დებეშები ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის დავით ყიფიანის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით. ქვემოთ ვთავაზობთ იმ ორგანიზაციების და პიროვნებების სიას, ვისგანაც სამქიმარი მოვიდა სფფ-ში და სხვა სპორტულ ორგანიზაციებში, დ. ყიფიანის ოჯახში.



## მშვიდობით, დათო!

- ◆ ილია ბლატიანი — ფიფას პრეზიდენტი
- ◆ ფლორენტინო პერავინი — მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტი
- ◆ შპრანის ფეხბურთის ფედერაცია
- ◆ სომხეთის ფეხბურთის ფედერაცია
- ◆ იულიუს კვიციანი — ლიტვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
- ◆ ალექსანდრე ჩიკვაძე — საქართველოს ელჩი საბერძნეთში
- ◆ სამარის საფეხბურთო კლუბი „კრილია სოვეტოვი“
- ◆ მიხეილ ჩერნი — ბფ „ლევისკი“ (ბულგარეთი)
- ◆ კოპიში „სპარტაკის თასის“ საორგანიზაციო კომიტეტი
- ◆ ბათუმის საფეხბურთო კლუბი „დინამო“
- ◆ ბათუმის „დინამოს“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა
- ◆ მართვალ ნაციონალისტთა ერთობა
- ◆ ერევნის „სპარტაკი“
- ◆ საშხუბურთო კლუბი „ტურანი“ (აზერბაიჯანი)
- ◆ საშხუბურთო კლუბი „ნეფთჩი“ (აზერბაიჯანი)
- ◆ რუსეთის საფეხბურთო კლუბი „სოკოლი“
- ◆ სომხეთის საფეხბურთო კლუბი „ბანონცი“
- ◆ სანატ-კატიმბურბის საფეხბურთო კლუბი „ზენიტი“
- ◆ საშხუბურთო კლუბი „აიაქსი“
- ◆ სოფლან ანდრევი — რესპუბლიკა ალანის ფიზკ. და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე
- ◆ ს. ნოვიკოვი — ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში
- ◆ ლევიტარი ქართველი ფეხბურთელები: ა. იაშვილი, ლ. კობიაშვილი, ლ. ცქიტიშვილი, გ. კიკნაძე, დ. მუჭირი, ზ. ზამთარაძე, გ. ნემსაძე, ზ. ხიზანიშვილი.
- ◆ ბ. ტაბინაძე — საფეხბურთო კლუბ „კრილია სოვეტოვის“ პრეზიდენტი
- ◆ საშხუბურთო კლუბი „შინიკი“
- ◆ ბ. ლორია — საფეხბურთო კლუბ „უნიისის“ (ყაზახეთი) პრეზიდენტი.
- ◆ კონსტანტინ სლინიკოვი — უკრაინის ინვალიდთა ფედერაციის პრეზიდენტი
- ◆ დონეცკის საფეხბურთო კლუბი „შეტალურგი“
- ◆ შპმარანი ფეხბურთელები: სიმონიანი, პარომონოვი, ისაევი, ილინი
- ◆ სომხეთის ტელევიზია
- ◆ ხ. ხონელიძე — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (ბელარუსი).

### სამქიმრის წერილებების ნაკადი გრძელდება...


დავით ყიფიანის პანაშვიდი — დღეს, პარასკევს, 21 სექტემბერს 17 საათზე (ზანდუკელის 3). პანაშვიდი გაგრძელდება 19 საათზე ეროვნულ სტადიონზე, 20 საათიდან საბურთალოს ამაღლების ეკლესიაში. დაკრძალვა — შაბათს 22 სექტემბერს 16 საათზე საბურთალოს პანთეონში.




დაბნეუბი ფახბურთალი



დიდი ფახბურთალი



მწვრთნალი



მოგაპალ ოლიმპიურ თამაშებზე 2 წლიანი და 11 თვე ღარი



ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 144 ღარი გვაპირებს 8-24 თებერვალი 2002 წ.

გკანელობა გარეჩენს საქართველოს, საქართველო - ქართულ სპორტს!

მოგაპალი თაობა „იარაღს აქლარუნებს“

ქ. თავრიზში (ირანი) გაიმართა იუნორთა შორის საერთაშორისო ტურნირი ფარეკობაში (დაშა, ხმალი). დედეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ კაკულია, გუნდის მწვრთნელი გიორგი სახაგაძე. ორივე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ნიკა და გიორგი ბახსოლიანები და ზურაბ კაკულაშვილი, საერთოდ, ყველა მოწონება დამსახურა. ჩვენები, ირაკლი ზამბახიძის გარდა, ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის, საქალაქო სამსახურის ფარეკობის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის აღსაზრდელები არიან. ყველა მოფარეკავე საკუთარი სახსრებით გაემზავრა ირანში. უნდა ითქვას ისიც, რომ შეჯიბრებებში ძირითადად მონაწილეობდნენ ის ნორჩი მოფარეკავები, რომლებიც 2002 წელს იასპარეზებენ ქ. ანტალიაში (თურქეთი) მსოფლიო პირად-გუნდურ პირველობაში კადეტთა და იუნორთა შორის. შემდეგ მოსკოვში (რუსი),



რობერტ ბავთიანის ფოტო. I რიგში მარცხნიდან: გერონტი ცირდავა, დავით მთვარელიძე, კახა მადრაძე; დგანან (მარცხნიდან): გიორგი სახაგაძე (მწვრთნელი), ნიკა ბახსოლიანი, თამაზ კაკულია (დედეგაციის ხელმძღვანელი, მწვრთნელი), გიორგი სილაგაძე და გიორგი ბახსოლიანი


დან 16 წლის მოფარეკავები გამოლოდნენ კადეტთა ასაკში, მაშინ, როცა მეტოქეები 20 წლისანები იყვნენ. პირად პირველობაში VI ადგილი დაიკავა ირაკლი ზამბახიძემ, ხოლო დავით მთვარელიძემ, გერონტი ცირდავამ და გიორგი სილაგაძემ წააგეს ნახევარფინალში შესასვლელი ორთაბროლები და შესაბამისად დაიკავეს IX-X ადგილები. თითოეულ იარაღში თავს იყრიდა 50 მონაწილე - აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ერაყიდან და ირანიდან (სულ 16 გუნდი). ხმალიში საქართველოს ნაკრებმა ორი გუნდით იასპარეზა. პირველმა დაიკავა III საპრიზო ადგილი. სპეციალისტთა დიდი ყურადღება მიიპყრო თბილისელმა კახა მადრაძემ (დაბ. 1989 წ.), რომელიც დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, როგორც ასაკით ყველაზე უმცროსი და ტექნიკური მოფარეკავე. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გიორგი სილაგაძემ და ირაკლი ზამბახიძემ. მეოთხედფინალში ბრძოლებს გამოეთიშნენ: მებეი

დს-ს და ბალტიისპირეთის ქვეყნების მოსწავლეთა სპორტულ თამაშებში. — დაბეჭიბებით უნდა გითხრათ, რომ კადეტთა ასაკში საქართველოში გვაყვს პერსპექტიული მოფარეკავები, მთავარია, ხელმეწივზე ზემდგომი ორგანიზაციებიდან. ბრინჯაოს მედლები, სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცა საქართველოს ხმლით მოფარეკავთა პირველ გუნდს (ირაკლი ზამბახიძე, გერონტი ცირდავა, დავით მთვარელიძე, გიორგი ბახსოლიანი). დაშნით ფარეკობაში გუნდი არ გამოგვიყვანია. თამაზ ბაკულია, საქართველოს დამსახ. მწვრთნელი, ხმლით მოფარეკავთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი. P.S. 2001 წლის 24-26 სექტემბერს თბილისში ჩატარდება საქართველოს თასის გათამაშება ფარეკობაში.

წყალნაღებულაგი ხავსს ვეკიდებო...

სპორტის გულშემატკვრებმა იციან, რომ ამას წინათ, იაპონიის ქალაქ ფუჯუ ოკიში ჩატარდა სპორტის წყალთა სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატი. საქართველოს ეროვნული დროშა, ჩვენი პლანეტის 137 ქვეყნის ალამთან ერთად, პირველად აღიშარა ამ დიდ სპორტულ ფორუმზე, რაც ძირითადად ორი გარემოების გამო იყო მოულოდნელი, — პირველი ესაა უსასრობა, მეორე კი ის, რომ ჩვენი არანაირი პირობები აღარ არის მსოფლიო ჩემპიონატის დონის სპორტსმენთა მოსამზადებლად. მაშ რა მოხდა? გვესაუბრება საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ბოიაშვილი.

ლოა, მაგრამ სტიმულია დიდი, პერსპექტივა აშკარაა. • ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ჩვენზე უკეთ იყვნენ წარმოდგენილნი? — რა თქმა უნდა. საწყლოსნო სპორტული ბაზები — აუზები და კომპლექსები, მხოლოდ ჩვენთან განაგდა და ფუნქცია დაკარგა, თორემ სხვაგან არა თუ ძველი შეინარჩუნეს, ახალიც ბევრი შემატეს. ტრადიციებიც შეინარჩუნეს. • ფინა, ცხადია, იცის ჩვენი გასაკირი, შეიძლება მიხვან რაიმეს ველოდეთ? — საერთაშორისო ფედერაციამ, რომ ის აილოს თავის თავზე, რაც ჩვენი მისახელება, წარმოუდგენელია. დახმარების პროგრამა მკაცრად რეგლამენტირებული. განა ცოტაა 10 ათასი დოლარი, რომელიც ჩვენთვის გაილეს? • მაგრამ ასე ხომ არ იქნება ყოველთვის, სულ მათ იმედად ხომ არ დავრჩებით... — კიდევ რომ დავრჩეთ, რას მივიღებთ. ერთხელ-ორჯერ წაგვახალისებენ და თუ საკუთარ თავს არ მიგზედეთ, „ჩამოგვყვრენ“, რაც უღაველ ტრაგიკული იქნება.



ალარ სურს ჩვენი მიწვევა. ეს შეიცხადა ალიოშინმა და მითხრა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, რომ ქარველეთა მონაწილეობა, პირიქით, ავტორიტეტს მატებს ნებისმიერ შეჯიბრებას. მართლაც, რამდენიმე დღეში თბილისში დამიკავშირდნენ მოსკოვიდან და მაცნობეს, რომ კვლავინდებურად გამოვალთ ამ ქვეყნის ღია პირველობაში.


• ბატონო ვლადიმერ, უპირველესად გილოცავთ მსოფლიო არენაზე გახვლას, ჩვენი ყოფილი გამოძლიანარე, ეს მართლა ცოტა უცნაურად მოჩანს. როგორ მოახერხებთ? — ჩვენი ქვეყანა აქ არაფერ შეუშია, მთლიანად დაგვაფინანსა ცურვის საერთაშორისო ორგანიზაციამ და ჩემპიონატის მასპინძელმა. მართალია, ერთი წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში პერსონალურად მე და ერთიც სპორტსმენი — მოცურავე ვახტანგ ბერიძე, ვიყავით მიწვეულნი. პირდაპირ გეტყვით, 10 ათას დოლარზე მეტი დავა ჩვენი მივლინება. საქართველოში ამდენ თანხას როგორ მოვიძიებდით. ვახტანგმა 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იასპარეზა. • ჩემპიონატს თბილისშიც ვადგენდით თვალყურს. როგორც თვითმხილველი, როგორ შეაფასებდით ამ ასპარეზობას? — რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება მონაწილე ქვეყნების რიცხვი. პირდაპირ გასაკვირია, ისეთი ქვეყნებიც გამოდიოდნენ, ადრე წარმოდგენაც რომ არ შეიძლებოდა. ცურვა, საერთოდ, სპორტის წყალთა სახეობები, ჩქარი ტემპით ინერგება ყველგან. ცხადია, შენდება თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი საცურაო აუზები, კომპლექსები. მართალია, „ახალი ქვეყნების“ შედეგები ვერ დაბა-

• საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ახალ არჩევნებში მოსკოვში, ფინას ვიცე-პრეზიდენტი რუსეთელი გენადი ვოლოშინი სოკის წევრად აირჩიეს. თქვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გქონდათ ყველასთან. ეს კაცი ახლა როგორ გვიყურებს, თუ შესტკივა გული ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე? — კარგია ეს რომ მკითხეთ. ცხადია, ალიოშინს ახლოს ვიცნობ. მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მან ყველა ყოფილი საბჭოთა წარმომადგენელი შეგვკრიბა და დიხანს გვესაუბრა პრობლემებზე, ყველას მოგვისმინა. მე გავაცანი ჩვენი არსებული ვაარება და ისიც დავძინე, რომ ჩემპიონატის ვერ ვატარებთ, რუსეთისა და უკრაინის ღია პირველობებში მონაწილეობენ. რაკი ჩვენები ღირსეული კონკურენტები არიან, რუსეთს


? შაკითხვა „ლალოს“

შაკითხვა: ხალხში, თბილისში ხმა გავრცელდა თითქოს თბილისის სპორტის სასახლის დირექტორად დანიშნეს დათო გომართელი. დაგვიდასტურებთ თუ უარყოფთ ამ ფაქტს? (ზ. სილაგაძე, თბილისი). პასუხი: მთლად ისე არ არის საქმე, როგორც ყური მოგვიკრავთ. ვერც ვთქვამთ, რომ თბილისის სპორტის სასახლე სააქციო საზოგადოებაა, რომელსაც ჰყავს თავისი სამეთვალყურეო საბჭო. დათო გომართელი სწორედ ამ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა და არა სპორტის სასახლის დირექტორად. დირექტორი ისევ ვ. ლომაძეა. დათო გომართელმა ახალ თანამდებობაზე გადასვლის გამო თავი გაანება ქართულ-იტალიური ფირმის დირექტორობას, თუმცა მის დამფუძნებლად კვლავ დარჩა.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურისა და „გულის ფორდის“ თაონსოვით თბილისში ჩატარდება „გული-2001 წლის მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი მსოფლიო სპორტული ღონისძიებები




«გულის» მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ვალთკრიტარიუმი ქ. თბილისი. 30 სექტემბერი, 2001 წ. დასაწყისი 11 საათზე.



«გულის» მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბანი, საქაბა ქ. თბილისი. 30 სექტემბერი, 2001 წ. დასაწყისი 10 საათზე. ტრასის სიგრძე 4680 მ.



### საპარტოვლოს ოლიმპიური ჩემპიონები



დრა მოუწევს, არა მხოლოდ უშუალოდ ბულგარეთის მიწაზე ფეხის დადგმისას, არამედ ყველაგან, სადაც კი გამოჩნდებოდნენ. ბულგარეთში და მის საზღვრებს გარეთ, იმ ხანებში ძალიან პოპულარული იყო კინორეჟისორი ჩომპე, რომელიც დაუმეგობრდა საბჭოთა სპორტსმენებს. ეს კაცი თითქმის ყველაგან დაჰყვებოდა საბჭოთა დელეგაციას, რაც, გარკვეულწილად, მასპინძელთა აზრით, აუიოტაჟს უფრო ამბავებდა.

### მზია ჯუღელიდან — უსასრულოდისაკენ

სვერდლოვსკიდან დაბრუნებისთანავე, საბჭოთა ტანმოვარჯიშებმა უცნობიდან ახალი მიწვევა მიიღეს — ამჯერად ალბანეთიდან. გარდა გრანდიოზული საჩვენებელი გამოსვლებისა, ბულგარეთში იგეგმებოდა მეგობრული დახმარება — მწვრთნელებისათვის კონსულტაციების გაწევა, ღია მეცადინეობების ჩატარება და ა.შ. საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელობამ, სპორტსმენთა თხოვნის გათვალისწინებით, ორთვიანი შუალედი მოითხოვა. საკუთარ კერას მონატრებული ტანმოვარჯიშეებისთვის მალე გაილია ეს ორი თვეც. ამჯერად ყველას თავი მოუყარეს ოდესაში — გემ „ტრანსილვანიაზე“ ოლიმპიელებს უკვე ელოდნენ. აღმოჩნდა, რომ ლენინგრადის ფეხბურთელთა გუნდი „ზენიტიც“ მიემგზავრებოდა ბულგარეთში. საზღვაო ლაინერი სულაც არ იყო გადატვირთული, თითქმის ცარიელ გემბანზე ფეხ-

გამოსვლები და მეგობრული დახმარება ძირითადად იგეგმებოდა ტირანასა და დურესში. დედაქალაქში სტუმრები თავის რეზიდენციაში მიიწვია ქვეყნის ხელმძღვანელმა ენვერ ხოჯამ.

ჩავიდა იქ. აშკარად ვამჩნევდით, რომ აუიოტაჟს ხელოვნურად ქმნიდნენ, ხალხს ნამდვილად არ ეზიებოდა. მივხვდით, რომ დიადი საბჭოთაიდან, ომში გამარჯვებული ქვეყნიდან ჩასულთა სტუმრობა უფრო პროპაგანდისტული იყო. გვჩვენეს ეროვნული გმირის სკანდერბეგის ძეგლი, რომელიც, ცხადია, ყველგან უნდა იქნებოდა. წარმოგვჩვენა არ მარტო რატომ წაგვიყვანეს მთაში, სადაც გასაცოდავებული ადამიანებისა და უამრავი სახედრის გარდა, შთაბეჭედავი არაფერი გვინახავს.

სტუმრებს სპეციალისტების ნაცვლად ფიზკულტურის მასწავლებლებს ახვედრებდნენ სკოლაში და ოლიმპიელებს სპორტსმენებთან კი არა, სპორტისგან შორს მდგარ მოსწავლეებთან უწევდათ თვითონ ოსტატობის „გაზიარება“. თვით მასწავლებელთა დონეც ძალიან დაბალი იყო.



1953 წ. ალბანეთი, დურესი. შუაში — მზია ჯუღელი


ბურთელები თავისუფლად თამაშობდნენ, ბევრი ბურთი ცვიოდა ზღვაში. ტანმოვარჯიშეებსაც თავისი რეჟიმი ჰქონდათ. სულ 5 ქალი და 5 ვაჟი სპორტსმენი შეადგენდა სპორტულ დელეგაციას, ცხადია, მწვრთნელებთან და ხელმძღვანელებთან ერთად. „გავიარეთ ექვსი ზღვა და ორი სრუტე, გემის კაპიტანი, როგორც კი ახალ ზღვაში შევიტრდებოდით, წყლის გემოს გვასინჯებდა. ყველაზე მლაშე ხმელთაშუა ზღვის წყალი იყო. ყოველდღე ციკვებით და სხვადასხვა თამაშობით გვართობდნენ“ — იგონებს მზია.

ტირანაში და დურესში გამოსვლების შემდეგ საბჭოთა დელეგაციას დიდი ბანკეტი მოუწევს — იტალიური ღვინოებით და ეროვნული, ხელით ნაქსოვი ფაჩოჩებით დააჯილდოვებს დელეგაციის ყველა წევრი. გემის უკან გამომგზავრების დღეც მოახლოებული იყო. უკან კვლავ ერთად გამოემგზავრნენ ტანმოვარჯიშეები და ფეხბურთელები...

თენგიზ ბაჩიჩილაძე  
დასაწყისი იხ. „ლელო“ №40-41, 43-45, 47, 49, 51, 53, 55, 58, 60, 61, 64, 66, 68, 70, 72  
გაგრძელება იქნება

### ანდრევი «ჩარნომორატიდან» მიდის

ნოვოროსისკის „ჩერნომორეცის“ მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა განცხადება დაწერა თანამდებობის დატოვების შესახებ. ეს უკვე მესამე მწვრთნელია, რომელიც ამ სეზონში ტოვებს „ჩერნომორეცს“. მანამდე აქ მუშაობდნენ ანატოლი ბაიდანნი, შემდეგ ვიქტორ ზერნოვი. ახლა კი სერგეი ანდრეევი. დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა ხაზრეტ დიშეკოვი.



სერგეი ანდრეევი

### ცნობები ინტერნეტის სამყაროში



ჩეხეთი — საფრანგეთი

### ლეს პეიტსალ-ფინალაში

საფრანგეთში დასრულდა ევროპის ქალთა ჩემპიონატის ჩვეულებრივი შეჯიბრებები და გაიჭრა ის 8 გუნდი, რომლებიც გააგრძელებენ მედლებისათვის ბრძოლას.

**A ჯგუფი**

**IV ტური:** ესპანეთი — იუგოსლავია 79:80 (დღ.)  
საფრანგეთი — პოლონეთი 73:66  
უკრაინა — რუმინეთი 67:86

**V ტური:** საფრანგეთი — ესპანეთი 70:64  
იუგოსლავია — რუმინეთი 87:61  
პოლონეთი — უკრაინა 61:57



რუსეთი — სლოვაკეთი

### ნოვრიდან — ნოვრაგდა

„საფხვზურით“ კლუბ „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსმა და აღმასრულებელმა დირექტორმა ფაბრიციო ლუკეზიმ, ახლო მომავალში ჩვენება უნდა მისცენ პროკურატურას მექრთამეობასთან დაკავშირებით. ორივე ეჭვმიტანილია იმაში რომ 1999 წლის დეკემბერში, სერია „A“-ს არბიტრს აჩუქეს 25 ცალი საათი „როლექსი“, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 60 ათას დოლარს.

● **მსოფლიოს ყოფილმა** საუკეთესო ფეხბურთელმა ჯორჯ ვეამ გადამწყვეტი იტამაშოს არაბეთის საემიროების კლუბ „ალუ ჯაზირში“. 34 წლის ფორვარდმა ხელი მოაწერა ერთწლიან კონტრაქტს, რომლის დეტალები გასაიდუმლოებულია.

● **უფხამ გამოაცხადა**, რომ 7,5 მილიონ დოლარ კომპენსაციას გადაუხდის იმ საფეხბურთო კლუბებს, რომელთა მატჩები უფასო ეგვიდით, კალენდარულ ვადებში არ ჩატარდა და გადაიდო.

● **ზრანგმა** ქირურგმა ფერარ საილანმა, რომელმაც მუხლის ოპერაცია გაუკეთა რონალდოს, აცხადებს, რომ ეს ფეხბურთელი მალე დაუბრუნდება საფეხბურთო მინდორს და „ითამაშებს უკეთ ვიდრე ადრე თამაშობდა“.

● **„ბერმანიის ჩემპიონატში“** პირველი თავი გაგორდა, ზუსტად ამ სიტყვებით ეუწყა საფეხბურთო სამყაროს „გამბურგის“ მწვრთნელის ფრანკო პაგელსდორფის დათხოვნა თანადემობიდან, რომელიც ამ კლუბს 1997 წლიდან ედგა სათავეში. „გამბურგი“ მიმდინარე ჩემპიონატში 6 ტურის შემდეგ, მე-12 ადგილზეა. შესაძლო შემკვიდრედ მწვრთნელის პოსტზე სახელდება ბოსნიელი სპეციალისტი ივიცა ოსიმი, რომელიც ავსტრიის „შტურმში“ მუშაობს. სახელდება აგრეთვე კევინ კიგანი.

● **იუნჯაიან**, რომ „პარმას“ თავაყად შეიძლება მოგვევლინოს წარსულში ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, შემდგომში მწვრთნელი დანიელ პასარელა.

**B ჯგუფი**

**IV ტური:** ლიტვა — უნგრეთი 65:62  
ჩეხეთი — საბერძნეთი 67:72  
სლოვაკეთი — რუსეთი 52:60

**V ტური:** საბერძნეთი — უნგრეთი 63:74


სლოვაკეთი — ლიტვა 63:76  
რუსეთი — ჩეხეთი 77:54

რუსეთი	5	4	1	9
ლიტვა	5	4	1	9
უნგრეთი	5	3	2	8
სლოვაკეთი	5	2	3	7
საბერძნეთი	5	1	4	6
ჩეხეთი	5	1	4	6

ლეს მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან:  
რუსეთი — იუგოსლავია  
საფრანგეთი — სლოვაკეთი  
ესპანეთი — უნგრეთი  
ლიტვა — პოლონეთი

### ფორმულა-1

### ურანგუნს გოლოდ ქულაგისთვის უხლიან



მას შემდეგ, რაც ფრენტცენი „გორდანიდან“ წავიდა, „პროსტი“ გუნდს შეუერთდა ამ სეზონის ბოლომდე. ცნობილია, რომ „პროსტი“ ახლა უმძიმეს ფინანსურ კრიზისს განიცდის. მაღალანაზღაურებადი პილოტის ფრენტცენის მოსვლამ გუნდში ამიტომ ბევრი გააკვირვა. მაგრამ ურანგუნს სტემა გამოიძიეს და დაადგინეს, რომ ახალწვეულს ხელფასს „პროსტი“ თურმე საერთოდ არ უხდის. ფრენტცენი გასამრჯელოს იღებს მხოლოდ მოპოვებული ქულებისათვის, რაც თურმე სულაც არ არის ხელწამოსაკრავი თანხა.


სურათზე: ფრენტცენი

### ლეზიკაი ღეს პროფსიულ რინგზე პირველად გაღის

სიდნეიში გამართული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი, რუსეთელი ალექსანდრ ლეზიკაი ღეს, 21 სექტემბერს, პირველ ორთაბრძოლას ჩაატარებს პროფესიულ რინგზე საერთაშორისო ტურნირის ჩარჩოში, რომელშიაც აგრეთვე მონაწილეობენ უძლიერესი ათლეტები აშშ-დან, სამხრეთ კორეიდან და უზბეკეთიდან. ლეგენდარული რუსეთელი 6-რაუნდიან პაქრობას გამართავს გამოცდილ ამერიკელ სტეისი გულსენოვთან, რომელსაც ღესმდე 6 ორთაბრძოლა ჩაუტარებია.

### ბერი პოლი ამერიკას ტოვებს

გუშინ სენსაციური ცნობა გაავრცელა ავსტრალიის ფედერაციამ — ცნობილი ამერიკელი მოცურავე აპირებს ავსტრალიაში გადავიდეს საცხოვრებლად, მოქალაქეობა მიიღოს და 2004 წელს, ათენში ოლიმპიურ თამაშებში, მწვანე კონტინენტის სახელით იასპარეზოს. ფიქრობენ, რომ პოლი ავსტრალიელებმა, ამას წინათ, სიდნეიში გამართული კეთილი ნების თამაშების დროს გადაიბირეს.



პოლი









